“ეფეს საქართველო” (ლუდსახარში “ნატახტარი") **Anadolu Efes**-ის შვილობილი კომპანიაა. Anadolu Efes მე-5 ადგილზეა მსოფლიოს უმსხვილეს ლუდის მწარმოებელ კომპანიათა შორის. “ეფეს საქართველო“ უკვე 10 წელია ოპერირებს საქართველოს ლუდის ბაზარზე, როგორც ბაზრის ლიდერი.

“ეფეს საქართველო” (ლუდსახარში “ნატახტარი") აცხადებს ვაკანსიას შემდეგ პოზიციაზე:

პოზიცია: ბუღლტერი

სამუშაო ადგილი: სოფ. ნატახტარი (თბილისიდან ნატახტრში ტრანსპორტირება უზრუნველყოფილია).

ბენეფიტები:

- ჯანმრთელობის დაზღვევა (100% დაფარვა)
- კვება
- ტრანსპორტირება

ძირითადი მოვალეობები:

- დილერებთან ურთიერთობა და კვარტალში ერთხელ შედარება შესაბამისი აქტის გაფორმებით;
- სხვა დებიტორებთან ურთიერთობა და შედარება წელიწადში ორჯერ (6 თვე და წლის ბოლოს);
- მრავალჯერადი მოხმარების ტარის მოძრაობის კონტროლი/შედარება დილერებთან და ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს სპეციალური ანგარიშგების გაკეთება;
- ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ფინანსური სისტემების დახურვის პროცესში მონაწილეობა;
- ინფორმაციის წარდგენა შიდა და გარე აუდიტებისთვის.
- საბაჟოს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმება და სისტემაში დარიცხვა.
- ადგილობრივი საქონლისა და სერვისების შესყიდვის ნაწილის სისტემაში ასახვა (ქართული კრედიტორები, რომლებთანაც კონტრაქტები გვაქვს უცხოურ ვალუტაში);
- იჯარის შემოსავლების ასახვა;
- იმპორტირებული საქონლისა და მომსახურების (ნაწილის) სისტემაში ასახვა;
- ფინანსური დეპარტამენტის შესყიდვების ორდერების შექმნა.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება;
- ინგლისური ენის საშუალო დონეზე ცოდნა (ან რუსული ენის ცოდნა);
- ბუღალტერის პოზიციაზე მუშაობის მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება;

გთხოვთ, გამოგზავნოთ რეზიუმე (CV) ელ. ფოსტის მისამართზე: career@ge.anadoluefes.com **და სათაურში მიუთითოთ პოზიციის სახელწოდება.**

რეზიუმეს მიღების ბოლო ვადაა: 2023 წლის 20 მარტი.